პროფესიული მომზადების პროგრამა

ზოგადი ინფორმაცია	
პროგრამა შექმნა უფლების მოპოვების გარეშე	
პროგრამის სახელწოდება:	ესთეტიკური მასაჟი
პროგრამის სახელწოდება ინგლისურად:	Aesthetic massage
პროგრამის სახე:	პროფესიული მომზადება
განხორციელების ენა:	ქართული
სფერო:	091 - ჯანდაცვა
პარტნიორები:	
კვალიფიკაციის დონე:	5 - პროფესიული მომზადება
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:	14
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:	20
მსმენელთა საერთო რაოდენობა პროგრამაზე:	20
მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში	20
მსმენელთა მინიმალური რაოდენობა ჯგუფში	10

პროგრამის აღწერა

ესთეტიკური მასაჟის პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლება. პროგრამის ხანგრძლივობაა 14 სასწავლო კვირა, ხოლო მოცულობა 280 საათი.
სწავლება ხორციელდება ლექციის, პრაქტიკული მეცადინეობის, შემთხვევის ანალიზის და სხვა მეთოდებით, შპს ორიენტირის ბაზაზე არსებულ A და C სასწავლო გარემოში.
განმსაზღვრელი შეფასება ხდება გამოკითხვის და პრაქტიკულ დავალებაზე დაკვირვების მეთოდით, მე-14-ე სასწავლო კვირას. მსმენელების შეფასება განხორციელდება

ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებით. შეფასება თვალისწინებს ორი ტიპის შეფასებას: ა)სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა. კურსდამთავრებულზე გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი.

პროგრამის მიზანი

მომზადების პროგრამის "ესთეტიკური მასაჟი", მიზანია, მოამზადოს პირი, რომელსაც ეცოდინება კლასიკური მასაჟის არსი და საბაზისო ილეთები/ტექნიკები, ლოკალური მასაჟი, ესთეტიკურ მედიცინაში მასაჟთან ასოცირებული სხეულის მოვლის პროცედურები და შეეძლება საკორექციო მასაჟის , ანტიცელულიტური მასაჟის, ფილინგ- მასაჟის და სხეულის შეფუთვითი, ვაკუუმ-მასაჟის, კოსმეტიკური მასაჟის პროცედურების შესრულება შესაბამისი ტექნიკების გამოყენებით. ლიმფოდრენაჟის ჩატარება პროცედურის დასრულებამდე ან პროცედურის წინ , ასევე, ანტიცელულიტური მასაჟის დროს, სტადიის გათვალისწინებით;

პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა: 1	
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:	20
სწავლის შედეგები:	1. ესთეტიკური მასაჟის საფუძვლები
სწავლების მეთოდები:	ლექცია ინტერაქციული ლექცია დისკუსია შემთხვევის ანალიზი
შეფასების მეთოდები:	გამოკითხვა
სასწავლო გარემო:	A

თემატიკა

- მასაჟის არსი, განვითარების ისტორია.კლასიფიკაცია.
- ნერვული სისტემის როლი ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისთვის.
- კანი და მისი ფუნქცია
- საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა:ძვლები და სახსრები, კუნთები
- ცირკულაციური სისტემა:გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ლიმფური სისტემები.

სასწავლო კვირა: 2	
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:	20
სწავლის შედეგები:	3. კლასიკური მასაჟის არსი და საბაზისო

	ილეთები/ტექნიკები 2.მასაჟის სამუშაო სივრცის მოწყობა და პროცედურების წარმართვა
სწავლების მეთოდები:	ლექცია ინტერაქციული ლექცია პრაქტიკული მეცადინეობა
შეფასების მეთოდები:	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით
სასწავლო გარემო:	A C - A და C სასწავლო გარემო

თემატიკა

- მასაჟის სასიკეთო გავლენა ორგანიზმზე. მასაჟის მოქმედების მექანიზმიმასაჟის ჩვენებები და წინააღმდეგჩვენებები.-მასაჟის პროცედურის ეფექტურობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები;
- მასაჟის კაბინეტის მოწყობის ერგონომიული, სანიტარული-ჰიგიენური ნორმები;მასაჟის კაბინეტისთვის საჭირო აღჭურვილობა და მასალები;სამასაჟე კრემების, გელების, მალამოების გამოყენების წესები.
- ხელის მტევნის, როგორც მასაჟისტის ძირითადი „ინსტრუმენტის“ აგებულება;

სასწავლო კვირა: 3	
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:	20
სწავლის შედეგები:	3.კლასიკური მასაჟის არსი და საბაზისო ილეთები/ტექნიკები
სწავლების მეთოდები:	ინტერაქციული ლექცია პრაქტიკული მეცადინეობა
შეფასების მეთოდები:	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით
სასწავლო გარემო:	A C - A და C სასწავლო გარემო

თემატიკა

- მასაჟის ილეთებით მოძრაობის შესაძლო მიმართულებები;
- ილეთების ნაირსახეობები;
- კლასიკური მასაჟის ძირითადი ილეთები;

სასწავლო კვირა: 4	
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:	20
სწავლის შედეგები:	3.კლასიკური მასაჟის არსი და საბაზისო ილეთები/ტექნიკები

სწავლების მეთოდები:	ინტერაქციული ლექცია პრაქტიკული მეცადინეობა
შეფასების მეთოდები:	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით
სასწავლო გარემო:	C - C სასწავლო გარემო

თემატიკა

კლასიკური მასაჟის ძირითადი ილეთები;
- კლასიკური მასაჟის მეთოდიკა;
- კლასიკური მასაჟის ილეთების დიფერენცირება მათი ზემოქმედების მექანიზმის მიხედვით;

სასწავლო კვირა: 5	
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:	20
სწავლის შედეგები:	3.კლასიკური მასაჟის არსი და საბაზისო ილეთები/ტექნიკები
სწავლების მეთოდები:	ინტერაქციული ლექცია პრაქტიკული მეცადინეობა
შეფასების მეთოდები:	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით
სასწავლო გარემო:	C - C სასწავლო გარემო

თემატიკა

- ილეთების ნაირსახეობები;

ილეთების შესრულების ტექნიკური ნიუანსები;
ილეთების რიტმი, სიღრმე და მიმართულება.

სასწავლო კვირა: 6	
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:	20
სწავლის შედეგები:	3.კლასიკური მასაჟის არსი და საბაზისო ილეთები/ტექნიკები 4. ლოკალური მასაჟი
სწავლების მეთოდები:	პრაქტიკული მეცადინეობა ინტერაქციული ლექცია ლექცია
შეფასების მეთოდები:	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით
სასწავლო გარემო:	C - C სასწავლო გარემო

თემატიკა

- ილეთების რიტმი, სიღრმე და მიმართულება.
- თავის მიდამოსა და საყელოს ზონის მასაჟი:
- თავის მიდამოსა და საყელოს ზონის ანატომიური აგებულება;
- თავის მიდამოსა და საყელოს ზონის მასაჟის ჩატარების ჩვენებები;
- თავის მიდამოსა და საყელოს ზონის მასაჟის ტექნიკური ნიუანსები, ქრონომეტრაჟი.
- ზემო კიდურების მასაჟი: ზემო კიდურების ანატომიური აგებულება;

სასწავლო კვირა: 7	
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:	20
სწავლის შედეგები:	4.ლოკალური მასაჟი
სწავლების მეთოდები:	ინტერაქციული ლექცია პრაქტიკული მეცადინეობა
შეფასების მეთოდები:	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით
სასწავლო გარემო:	C - C სასწავლო გარემო

თემატიკა

- ზემო კიდურების მასაჟის ჩატარების ჩვენებები;
- ზემო კიდურების მასაჟის შესრულების ტექნიკა, ქრონომეტრაჟი
- ქვემო კიდურების მასაჟი:

ქვემო კიდურების ანატომიური აგებულება;
ქვემო კიდურების მასაჟის ჩატარების ჩვენებები;
ქვემო კიდურების მასაჟის შესრულების ტექნიკა, ქრონომეტრაჟი.

სასწავლო კვირა: 8	
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:	20
სწავლის შედეგები:	4.ლოკალური მასაჟი 5.ესთეტიკურ მედიცინაში მასაჟთან ასოცირებული სხეულის მოვლის პროცედურები
სწავლების მეთოდები:	ინტერაქციული ლექცია პრაქტიკული მეცადინეობა
შეფასების მეთოდები:	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით გამოკითხვა
სასწავლო გარემო:	C - A და C სასწავლო გარემო A

თემატიკა

- გულმკერდისა და მუცლის მიდამოების მასაჟი:გულმკერდისა და მუცლის მიდამოების ანატომიური აგებულება;
- გულმკერდისა და მუცლის მიდამოების მასაჟის ჩატარების ჩვენებები;
- გულმკერდისა და მუცლის მიდამოების მასაჟის შესრულების ტექნიკა, ქრონომეტრაჟი.
- ზურგის მიდამოს მასაჟი:
- ზურგის მიდამოს ანატომიური აგებულება ზურგის მიდამოს მასაჟის ჩატარების ჩვენებები;
- ზურგის მიდამოს მასაჟის შესრულების ტექნიკა, ქრონომეტრაჟი.
- კონსერვატული ესთეტიკური მედიცინის მიზნები და ამოცანები (ცელულიტის შემცირება და პროგრესის შეჩერება, სხეულის ფორმების გაუმჯობესება, კანის სტრუქტურის გაუმჯობესება), მკურნალობის მექანიზმი, განსხვავებული მიდგომა;
- ადამიანის კონსტიტუციური ტიპები (ასთენიკური, ნორმოსთენიკური და ჰიპერსთენიკური, დასავლური კლასიფიკაცია-A,H,I,O,T,X);
- კანისა და კანქვეშა სტრუქტურების მოკლე ანატომიური მიმოხილვა;

სასწავლო კვირა: 9	
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:	20
სწავლის შედეგები:	5.ესთეტიკურ მედიცინაში მასაჟთან ასოცირებული სხეულის მოვლის პროცედურები 6.სხეულის საკორექციო მასაჟი
სწავლების მეთოდები:	ინტერაქციული ლექცია პრაქტიკული მეცადინეობა
შეფასების მეთოდები:	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით გამოკითხვა
სასწავლო გარემო:	C - A და C სასაწვლო გარემო A

თემატიკა

- მასაჟის სახეობები და მეთოდიკები, რომლებიც გამოიყენება ესთეტიკურ მედიცინაში (პრობლემური ზონების საკორექციო მასაჟი და მათი ნაირსახეობა, ანტიცელულიტური მასაჟი, ვაკუუმ-მასაჟი-მასაჟი ქილებით, ფილინგ-მასაჟი, დეტოქს-მასაჟი, შეფუთვები, ცხელი ქვებით მასაჟი, კრიომასაჟი, პერკუსიული, ნეიროსედატიური, ლიფტინგ-მასაჟი, ხელით პლასტიკა, ლიმფოდრენაჟული მასაჟი, შეფუთვები, მასაჟის მხარდამჭერი აპარატული მეთოდები და სხვ.) - მათი მოკლე აღწერილობა, მოქმედების თანმიმდევრობა და მექანიზმი, ჩვენებები და წინააღმდეგჩვენებები, შერჩევის წესები მიზნებიდან გამომდინარე;
- ცხოვრების სტილისა და კვებითი ქცევის როლი სხეულის კორექციის კომპლექსურ სქემაში.

- საკორექციო ზონების ლოკალიზაციის ზუსტი იდენტიფიცირება;

- სხეულის საკორექციო მასაჟის მეთოდიკები კუნთოვანი მეხსიერების გამომუშავების მიზნით, მასაჟის ჩატარების სწორი ორგანიზება, ილეთები, ინტენსივობა, ქრონომეტრაჟი, წესები, თავისებურებები.

სასწავლო კვირა: 10	
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:	20
სწავლის შედეგები:	6.სხეულის საკორექციო მასაჟი 7.ანტიცელულიტური მასაჟი
სწავლების მეთოდები:	ინტერაქციული ლექცია პრაქტიკული მეცადინეობა
შეფასების მეთოდები:	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით
სასწავლო გარემო:	C - C სასწავლო გარემო

თემატიკა

- პრობლემური ზონების საკორექციო მასაჟის ჩატარებისას შესაძლო ხშირი შეცდომები და მათი თავიდან აცილების წესები.
- კანქვეშა ცხიმის გადანაწილების ასაკობრივი, სქესობრივი და სხეულის მასასთან დაკავშირებული თავისებურებები;
- სხეულის მასის ინდექსის განსაზღვრა;
- ცელულიტის არსი, ტიპები, წარმოქმნის მიზეზები და მასთან ბრძოლის მეთოდები;
- ცელულიტის სტადიები და მათი განსაზღვრა; ანტიცელულიტური მასაჟის ჩატარების მიზნები, ამოცანები, ჩვენებები და წინააღმდეგჩვენებები;
- ცელულიტის მკურნალობისას განსხვავებული მიდგომა სხვადასხვა ტიპის ცელულიტის არსებობის შემთხვევაში;

სასწავლო კვირა: 11	
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:	20
სწავლის შედეგები:	7.ანტიცელულიტური მასაჟი 8. ფილინგ- მასაჟი და სხეულის შეფუთვითი პროცედურები-
სწავლების მეთოდები:	პრაქტიკული მეცადინეობა ინტერაქციული ლექცია
შეფასების მეთოდები:	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით
სასწავლო გარემო:	C - C სასწავლო გარემო

თემატიკა

- ცელულიტთან ბრძოლის სხვა მეთოდები (სხეულის მოვლის წესები სახლის პირობებში, სწორი კვებით და რეჟიმით ხელშეწყობა, ვარჯიში და სხვა).

• ანტიცელულიტური მასაჟის ჩატარების მიზნები, ამოცანები, ჩვენებები და წინააღმდეგ ჩვენებები;
• ანტიცელულიტური მასაჟის ჩატარებისას შესაძლო გართულებები და მათი თავიდან აცილების წესები;
• ანტიცელულიტური მასაჟის ჩატარების სწორი ორგანიზება, მეთოდიკები, ილეთები, ინტენსივობა, ქრონომეტრაჟი;
• ანტიცელულიტური მასაჟის ჩატარებისას შესაძლო გართულებები და მათი თავიდან აცილების წესები;
• ფილინგ-მასაჟის არსი, მიზნები, ამოცანები, მოქმედების მექანიზმი, ჩვენებები და წინააღმდეგჩვენებები;
• ადამიანის კანის მგრძნობელობა სხვადასხვა ფილინგებთან მიმართებაში (სისხლძარღვების მდგომარეობა, ალერგოანამნეზი, კანის ფერი და სხვა);
• ფილინგების ნაირსახეობა ესთეტიკურ მედიცინაში (თაფლი, ყავა, შოკოლადი, ხილის მჟავის ფილინგები და სხვა) და მათი მოქმედება;
• გამახურებელი და გამაგრილებელი ფილინგები, მათი გამოყენების წესები პაციენტის სისხლძარღვების მდგომარეობის გათვალისწინებით;

სასწავლო კვირა: 12	
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:	20
სწავლის შედეგები:	8. ფილინგ- მასაჟი და სხეულის შეფუთვითი პროცედურები 9. ვაკუუმ-მასაჟი
სწავლების მეთოდები:	ინტერაქციული ლექცია პრაქტიკული მეცადინეობა
შეფასების მეთოდები:	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით
სასწავლო გარემო:	C - C სასწავლო გარემო

თემატიკა

• საფილინგე მასალის სწორი შერჩევის წესები ამოცანებიდან გამომდინარე;
• ფილინგ- მასაჟის ჩატარების სწორი ორგანიზება, მეთოდიკები, ილეთები, ინტენსივობა, ქრონომეტრაჟი.
• ფილინგ- მასაჟის ჩატარების შესაძლო გართულებები და მათი თავიდან აცილების წესები;
• ესთეტიკურ მედიცინაში შეფუთვების არსი, მიზნები, ამოცანები, მოქმედების მექანიზმი, ჩვენებები და წინააღმდეგ ჩვენებები;
• შესაფუთი მასალის ნაირსახეობები ესთეტიკურ მედიცინაში მათი მოქმედების მექანიზმის მიხედვით და შესაფუთი მასალის სწორი შერჩევის წესები;
• ცივი და ცხელი შეფუთვები, მათი ზემოქმედება ადამიანზე;
• შეფუთვის პროცედურის ჩატარების სწორი ორგანიზება, მეთოდიკები, ილეთები, ინტენსივობა, ქრონომეტრაჟი.

- ვაკუუმ-მასაჟის წარმოშობის ისტორია, არსი;
- ვაკუუმ-მასაჟის მოქმედების მექანიზმი, მიზნები და ამოცანები, ჩვენებები და წინააღმდეგჩვენებები, გამოყენების სფეროები და ძირითადი ეფექტები;
- ხელით ჩატარებული და აპარატული ვაკუუმ-მასაჟის შედარებითი დახასიათება.

სასწავლო კვირა: 13	
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:	20
სწავლის შედეგები:	9. ვაკუუმ-მასაჟი 10. კოსმეტიკური მასაჟი
სწავლების მეთოდები:	ინტერაქციული ლექცია პრაქტიკული მეცადინეობა
შეფასების მეთოდები:	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით
სასწავლო გარემო:	C - c სასწავლო გარემო

თემატიკა

- ქილების ნაირსახეობა (შუშის , რეზინის, სილიკონის, პლასტმასის), რომლებიც გამოიყენება ვაკუუმ-მასაჟის ჩასატარებლად. ნატურალური მასალით დამზადებული ქილების უპირატესობა ხელით მასაჟის ჩატარებისას.
- ხელით ვაკუუმ-მასაჟის ორგანიზება, მასაჟის ჩატარების წესები;
- ვაკუუმ-მასაჟის პროცედურის პროტოკოლი;
- ვაკუუმ-მასაჟის ჩატარებისას შესაძლო ხშირი შეცდომები და მათი თავიდან აცილების წესები;
- ვაკუუმ-მასაჟის ჩატარებისას შესაძლო გართულებები და მათი პრევენცია;
- ვაკუუმ-მასაჟის ჩატარების სიხშირის განსაზღვრა ყველა კონკრეტულ შემთხვევაში;
- ვაკუუმ-მასაჟის პროცედურის ჩატარებისას ინდივიდუალური მიდგომის შემუშავება სისხლძარღვების და მიკროცირკულაციის საწყისი მდგომარეობის გათვალისწინებით.
- კოსმეტიკური მასაჟის არსი, მიზნები და სახეები და წინააღმდეგჩვენებები;
- სახის მიმიკური კუნთების სისტემა და კისრის კუნთები;
- მიმიკური კუნთების სისტემაში შემავალი და კისრის კუნთების ანატომია, ტოპოგრაფია, ფუნქცია და როლი კონკრეტული ნაოჭის ფორმირებაში;
- სახისა და კისრის სისხლძარღვოვანი, ლიმფური და პერიფერიული ნერვული სისტემის ანატომია;

სასწავლო კვირა: 14	
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:	20
სწავლის შედეგები:	10. კოსმეტიკური მასაჟი
სწავლების მეთოდები:	პრაქტიკული მეცადინეობა ინტერაქციული ლექცია
შეფასების მეთოდები:	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით გამოკითხვა

სასწავლო გარემო:	C - A და C სასწავლო გარემო A

თემატიკა

- სამასაჟე (ჟაკეს) ხაზების მიმართულებები.
- სახისა და კისრის მსუბუქი (ყოველდღიური) კოსმეტიკური მასაჟი;
- სახისა და კისრის სრული კოსმეტიკური მასაჟი.

სწავლის შდეგების დადასტურება

დაშვების წინაპირობები

განათლება :საშუალო

ასაკი :18

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა:

1. გასაუბრება

სწავლის შედეგები

სხვა სწავლის შედეგები

6. სხეულის საკორექციო მასაჟი

5.ესთეტიკურ მედიცინაში მასაჟთან ასოცირებული სხეულის მოვლის პროცედურები

8. ფილინგ- მასაჟი და სხეულის შეფუთვითი პროცედურები-

4. ლოკალური მასაჟი

1. ესთეტიკური მასაჟის საფუძვლები

10. კოსმეტიკური მასაჟი

3. კლასიკური მასაჟის არსი და საბაზისო ილეთები/ტექნიკები

7.ანტიცელულიტური მასაჟი

9. ვაკუუმ-მასაჟი

2.მასაჟის სამუშაო სივრცის მოწყობა და პროცედურების წარმართვა

დასაქმების სფერო/სფეროები

პროგრამის შემუშავების საფუძვლები

სხვა
პროფესიული საგანმნათლებლო პროგრამა "მასაჟის თერაპია" მომზადების პროგრამა "ესთეტიკური მასაჟი" შექმნილია პროფესიული საგანმნათლებლო პროგრამის"მასაჟის თერაპია" შემადგენელი რამდენიმე მოდულის საფუძველზე, რაც აღწერილია მიბმულ დანართში. მომზადების პროგრამის შემუშავების საფუძვლები და თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

ლოკაცია და აღჭურვილობები

ლოკაცია:		
რეგიონი	**რაიონი**	**მისამართი**
თბილისი	გლდანი-ნაძალადევი	ც.დადიანის №26
აღჭურვილობები		
ტიპი	**ზომის ერთეული**	**რაოდენობა**
პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი)	კომპლექტი	1
დაფა	ცალი	1
თემატიკის შესაბამისი სასწავლო სქემები და საილუსტრაციო მასალა	ცალი	1
პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი)	კომპლექტი	1
კომპიუტერი	კომპლექტი	1
პროექტორი - დემონსტრირების ციფრული საშუალება	ცალი	1
სამასაჟე მაგიდა და პროცედურული სკამი	კომპლექტი	1
ლილვაკი (სპეციალური ბალიშები)	კომპლექტი	1
ანატომიური მულაჟი	კომპლექტი	1